



თიბისი დაზღვევა
TBC INSURANCE

COVID-19-ის გართულებებისგან
დაზღვევის პირობები

CV-001/20



ტარიფთა განმარტება

დამზღვევი - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელთანაც ფორმდება დაზღვევის ხელშეკრულება და რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდაზე

მზღვეველი - სს თიბისი დაზღვევა

დაზღვეული - იურიდიული პირის შემთხვევაში დანართი#1-ში მითითებული დამზღვევის დასაქმებული 18 წლიდან 65 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირი, ხოლო ინდივიდუალური დაზღვევის შემთხვევაში (ფიზიკური პირის შემთხვევაში) 18 წლიდან 65 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირი, რომლის სიცოცხლე და ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციიდან გამომდინარე დამდგარი გართულებული შემთხვევა დაზღვეულია, წინამდებარე პირობების თანახმად. ფიზიკური პირის დაზღვევის შემთხვევაში დაზღვეული და დამზღვევი ერთი და იგივე პირია.

მოსარგებლე - ფიზიკური პირი, რომელიც ამ დაზღვევის ფარგლებში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება. ამ დაზღვევის მიზნებისთვის მოსარგებლე არის დაზღვეული. დაზღვეულის COVID-19-ით დაავადების მძიმე მიმდინარეობით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების მიმღები არის თავად დაზღვეული, მისი კანონისმიერი წარმომადგენელი ან დაზღვეულის/დამზღვევის მიერ მითითებული პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში დაზღვეულის კანონისმიერი მემკვიდრე ან დაზღვეულის/დამზღვევის მიერ მითითებული პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სადაზღვევო პოლისი - მზღვეველსა და დამზღვევს შორის სადაზღვევო ხელშეკრულების დადების ფაქტის დამადასტურებელი და ამ ხელშეკრულების პირობების ამსახველი დოკუმენტი. ფიზიკური პირი შეიძლება დაზღვეული იყოს მხოლოდ ერთი სადაზღვევო პოლისის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი იქნება დაფიქსირებული ერთზე მეტ სადაზღვევო პოლისში, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ ერთი პოლისის სადაზღვევო თანხის/ლიმიტის ფარგლებში.

სადაზღვევო პრემია - დაზღვევის საფასური, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული წესითა და ოდენობით.

სადაზღვევო შემთხვევა - წინამდებარე სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი შემთხვევა, რომლის

შედეგადაც წარმოიშვება მზღვეველის ვალდებულება გადაუხადოს მოსარგებლეს სადაზღვევო ანაზღაურება;

სადაზღვევო ანაზღაურება - წარმოადგენს თანხის ოდენობას, რომელსაც მზღვეველი უხდის მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას. სადაზღვევო ანაზღაურება მზღვეველის მიერ მოსარგებლეზე ყოველთვის გაიცემა სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

ჯამური სადაზღვევო თანხა ერთ დაზღვეულზე - მაქსიმალური კომპენსაცია, რომელიც გაიცემა მოსარგებლეზე/მოსარგებლეებზე.

ანაზღაურების მთლიანი თანხა/ლიმიტი - იურიდიული პირის შემთხვევაში პოლისში მითითებული ლიმიტის ფარგლებში მზღვეველის ანაზღაურების მაქსიმალური ვალდებულება, სადაზღვევო შემთხვევათა რაოდენობისა და სიდიდის მიუხედავად.

სადაზღვევო პერიოდი - დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს სადაზღვევო დაფარვა.

მოცდის პერიოდი - პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვეულისთვის COVID-19-ის დიაგნოზის დადასტურების შემთხვევაში და სადაზღვევო ხელშეკრულებით დაფარული შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ანაზღაურება არ ექვემდებარება გაცემას. ამ პირობებით, მოცდის პერიოდი შეადგენს პირველ 20 (ოცი) დღეს სადაზღვევო ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან.

დაზღვევის ტერიტორია - საქართველო

COVID-19 დადასტურებული დაავადება/COVID-19 დაავადება - დაზღვევის ტერიტორიაზე ლაბორატორიულად პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (პჯრ) მეთოდით დადასტურებული SARS-CoV-2 ინფექცია.

გარდაცვალება - COVID-19-ით ინფექციით გამოწვეული გართულებების შედეგად დამდგარი გარდაცვალება.

ჰოსპიტალიზაცია COVID-19 დაავადების მძიმე მიმდინარეობით - შემთხვევა, რომლის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით (შემდგომ „პროტოკოლი 24.03.2020“) ხასიათდება მძიმე მიმდინარეობით, ჰოსპიტალიზაციის პროცესში საჭიროებს ენდოტრაქეალურ

ინტუბაციას და მექანიკურ ვენტილაციას და რომელიც გამომდინარეობს COVID-19-ის დადასტურებული დაავადებიდან.

COVID-19 დაავადება მძიმე მიმდინარეობით - „პროტოკოლი 24.03.2020“-ის თანახმად SARS-CoV-ით გამოწვეული მწვავე რესპირაციული დისტრეს სინდრომი, სეფსისი, სეპტიური შოკი, მეტაბოლური აციდოზი და მულტი-ორგანოთა უკმარისობა.

სამედიცინო ჩანაწერები - დოკუმენტაცია დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, შედგენილი მკურნალი ექიმის და/ან ჯანდაცვის/სამედიცინო დაწესებულების სხვა წარმომადგენლის მიერ, სახელმწიფო სტანდარტების დაცვით. დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს საბოლოო დიაგნოზს/დიაგნოზებს, ფიზიკალური, ლაბორატორული, ინსტრუმენტული და სხვა კვლევების შედეგებსა და დასკვნებს და სამკურნალო რეკომენდაციებს.

1. დაზღვევის საგანი და სადაზღვევო ანაზღაურების განსაზღვრის წესი

1.1. წინამდებარე დაზღვევა ითვალისწინებს:

სადაზღვევო პერიოდში, მოცდის პერიოდის გასვლის შემდეგ, დაზღვეულის ლაბორატორიულად დადასტურებული COVID-19-ით დაავადებისას, რომელიც ხასიათდება მძიმე მიმდინარეობით და/ან იწვევს დაზღვეულის გარდაცვალებას, ფიქსირებული სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას შემდეგი ცხრილის მიხედვით:

სადაზღვევო რისკი	სადაზღვევო ანაზღაურება/თანხა/ლიმიტი
ჰოსპიტალიზაცია COVID-19 დაავადების მძიმე მიმდინარეობით	10'000 ლარი
COVID-19-ის შედეგად გარდაცვალება	50'000 ლარი
ჯამური სადაზღვევო თანხა ერთ დაზღვეულზე	50'000 ლარი

მძიმე მიმდინარეობით ჰოსპიტალიზაციით განპირობებული ანაზღაურების გაცემის შემთხვევაში, შემდგომში გარდაცვალების დაფარვით ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება მძიმე მიმდინარეობით ჰოსპიტალიზაციით ანაზღაურებული თანხა.

2. დაზღვევის პროცედურა

2.1. ინდივიდუალური (ფიზიკური პირის) დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლის წინაპირობაა დაზღვეულის მიერ განაცხადის ხელმოწერა, ან დაზღვევის ხელშეკრულების ვებ-გვერდის მეშვეობით გაფორმების შემთხვევაში თანხმობის დილაკზე გადასვლა, რომლითაც ის ადასტურებს, რომ დაზღვევის გაფორმების

თარიღისთვის, ის არ იმყოფება კარანტინში, არ ელოდება პასუხს COVID-19-ის ტესტზე ან მას არ აქვს მიღებული დადებითი პასუხი აღნიშნულ ტესტზე და არ აწუხებს განაცხადის ფორმაში ჩამოთვლილი დაავადებები. აღნიშნული განაცხადი წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით/ელექტრონული თანხმობით დაზღვეული აცხადებს წინასწარ თანხმობას და ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველმა ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულებისგან და ნებისმიერი სხვა მესამე პირისგან გამოითხოვოს დაზღვეულის სამედიცინო ჩანაწერები და სხვა სამედიცინო ინფორმაცია, ასევე ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია.

3. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესი

3.1. სადაზღვევო პრემია გადაიხდება ლარში, ერთჯერადად პოლისის გაცემისთანავე.

3.2. სადაზღვევო პერიოდის დასრულებამდე სადაზღვევო პოლისის გაუქმების შემთხვევაში, მზღვეველისთვის გადახდილი სადაზღვევო პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება.

4. სადაზღვევო პერიოდი და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. დაზღვევა ძალაში შედის პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის საწყისი თარიღის 24:00 საათზე, იმ პირობით, თუ დამზღვევის მიერ გადახდილი იქნება პოლისში მითითებული სადაზღვევო პრემია სრულად. სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედება წყდება 2020 წლის 31 დეკემბრის 24:00 საათზე.

4.2. დაზღვევის მოქმედება შესაძლოა შეწყდეს ამ მუხლით გათვალისწინებული წესით, დამზღვევის ან მზღვეველის ინიციატივით.

4.2.1. მზღვეველის მხრიდან გაფრთხილებისა და დამზღვევისათვის დამატებითი ვადის დაწესების გარეშე, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

4.2.1.1. თუ მზღვეველის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პოლისით ნაკისრი ვალდებულებები მთლიანად შესრულებულია

4.2.1.2. როცა დაზღვეულს შეუსრულდება 65 წელი

4.2.1.3. დაზღვეულის გარდაცვალების ან მისთვის სადაზღვევო თანხის სრულად ანაზღაურების შემთხვევაში

4.2.1.4. შესაბამისი პოლისით გათვალისწინებული ვადის გასვლისას.

4.2.2. დაზღვევა ასევე შეწყდება:

4.2.2.1. ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით.

4.2.2.2. თუ მზღვეველი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წყვეტს საქმიანობას;

4.2.2.3. მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით;

4.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია:

5.1.1. პოლისის გაფორმებისას აცნობოს მზღვეველს ყველა ის ინფორმაცია/გარემოება, რომელიც მან იცის ან უნდა იცოდეს და რომელსაც შეუძლია მოახდინოს გავლენა მზღვეველის მიერ რისკის შეფასებაზე ან/და მზღვეველის გადაწყვეტილებაზე უარი თქვას დაზღვევაზე ან შეცვალოს დაზღვევის პირობები;

5.1.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა წარუდგინოს მზღვეველს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის დასარეგულირებლად

5.1.3. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია პოლისით გათვალისწინებული გრაფიკით და ოდენობით.

5.2. დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე უფლებამოსილია:

5.2.1. მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად

5.2.2. სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, მზღვეველთან განაცხადის წარდგენის გზით დაასახელოს პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, დაზღვეულის COVID-19-ით დაავადების მძიმე მიმდინარეობით ჰოსპიტალიზაციის ან დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურების მიღებასთან დაკავშირებით.

5.3. მზღვეველი ვალდებულია:

5.3.1. შეასრულოს დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5.3.2. დაიცვას და არ გაამჟღავნოს დამზღვევთან/დაზღვეულთან სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. მზღვეველი უფლებამოსილია:

5.4.1. სადაზღვევო შემთხვევის შესწავლისას, მოსთხოვოს დაზღვეულს/მოსარგებლეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის დასადგენად და ანაზღაურებაზე გადაწყვეტილების მისაღებად;

5.4.2. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება და გააუქმოს სადაზღვევო პოლისი სადაზღვევო შემთხვევასთან და/ან ანაზღაურებასთან დაკავშირებული გაყალბებული დოკუმენტების/ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. ხოლო თუ სადაზღვევო ანაზღაურება უკვე გაცემულია, დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია უპირობოდ დაუბრუნოს ის მზღვეველს.

6. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძვლები

6.1. დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული შემთხვევის (როგორც დაზღვეულის გარდაცვალების, ისე COVID-

19-ით დაავადების მიმე მიმდინარეობით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში დადგომიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის განმავლობაში, აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს (ცხელი ხაზის ნომერზე +995 32 242 11 11 ან ელ ფოსტაზე: health@tbcinsurance.ge) და წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები: ანაზღაურების მოთხოვნის განაცხადი, დაზღვეულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაზღვევო პოლისი და დიაგნოზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სამედიცინო ფორმა iv-100/ა, სამედიცინო ისტორია, ცნობა ლაბორატორიულად პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (პჯრ) მეთოდით დადასტურებული SARS-CoV-2 ინფექციის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში სხვა კვლევების შედეგები და წარმოსახვითი კვლევების სურათები), მოსარგებლის საბანკო ანგარიშის ნომერი და პირადობის მოწმობა; დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში ჩამოთვლილ საბუთებთან ერთად: დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობის დედანი ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლი;

ცნობა, გარდაცვალების შესახებ (ფორმა 106);

მოსარგებლის/კანონისმიერი მემკვიდრის/მემკვიდრეების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ნოტარიულად დამოწმებული სამკვიდრო მოწმობა.

6.2. მკურნალი ექიმის მიერ დადასტურებული დიაგნოზი უნდა შეესაბამებოდეს დაავადების განსაზღვრებას და კრიტერიუმებს, როგორც მოცემულია ამ ხელშეკრულებაში.

6.3. კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი საბუთებისგან განსხვავებული, დამატებითი საბუთების წარმოდგენა კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების ზუსტად დადგენის მიზნით.

6.4. კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველი იტოვებს უფლებას თანმხლები დაავადებების შესახებ ჩაატაროს/მოითხოვოს დამატებითი მოკვლევა/ექსპერტიზა. აღნიშნული პირობა არ ვრცელდება გარდაცვალების შემთხვევაზე.

6.5. ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ მზღვეველი 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში განიხილავს და გასცემს დაზღვეულზე/მოსარგებელზე წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას ან უარს ეტყვის მოსარგებელს ანაზღაურებაზე.

6.6. ერთზე მეტი კანონისმიერი მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი სადაზღვევო კომპენსაცია თანაბრად განაწილდება ყველა კანონისმიერ მემკვიდრეზე.

7. დაზღვევის ხელშეკრულების გამონაკლისი პირობები

7.1. წინამდებარე პირობების თანახმად, სადაზღვევო ანაზღაურება არ ექვემდებარება გაცემას, თუ:

7.1.1. არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი მზღვეველის მიერ შემთხვევის შესაფასებლად აუცილებელი საბუთები;

7.1.2. დაზღვევის პროცესში დამზღვევის/დაზღვეულის მიერ არასწორად და/ან არაზუსტად და/ან არასრულად იქნა მოწოდებული ინფორმაცია დაზღვეულის შესახებ, რასაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონოდა რისკის შეფასებაზე;

7.1.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სრულად და დროულად არ იყო გადახდილი სადაზღვევო პრემია, სადაზღვევო პოლისში მითითებული გრაფიკის მიხედვით;

7.1.4. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით დამზღვევის და/ან მოსარგებლის მიერ მზღვეველისათვის მიწოდებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია არ შეესაბამება რეალურ ფაქტობრივ გარემოებებს.

7.1.5. დაზღვევის პროცესში დამზღვევის/დაზღვეულის მიერ არასწორად იქნა ინფორმაცია მოწოდებული დაზღვეულის შესახებ, რასაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონოდა რისკის შეფასებისას და დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

7.2. დაზღვევას არ ექვემდებარება:

7.2.1. დაზღვევის მომენტისთვის კარანტინში მყოფი პირი, კარანტინის ვადის დასრულებამდე;

7.2.2. პირი, რომელიც დაზღვევის მომენტში ელოდება პასუხს COVID-19-ის ტესტზე ან უკვე აქვს მიღებული დადებითი პასუხი აღნიშნულ ტესტზე;

7.2.3. პირი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მოვლას და/ან პირი, რომელიც დაავადებულია ფსიქიკურად;

7.2.4. პირი, რომელსაც აქვს რომელიმე ფორმის ავთვისებიანი სიმსივნე: კიბო, ლეიკემია, ლიმფომა ან სხვა ფორმის ავთვისებიანი დაავადება;

7.2.5. პირი, რომელსაც აქვს სტენოკარდია; გულის იშემიური დაავადება, მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის არითმია, გულის მანკი, გულის უკმარისობა, არტერიული ჰიპერტენზიის ან სხვა ფორმის გულის დაავადება;

7.2.6 პირი, რომელსაც აქვს სასუნთქი სისტემის (ბრონქული ასთმის, ემფიზემის, ქრონიკული ობსტრუქციული) დაავადება;

7.2.7 პირი, რომელსაც აქვს დიაბეტი, ინსულტი ან დამბლა.

7.3. თუ დაზღვევის შემდგომ აღმოჩნდა, რომ პირს დაუდასტურდა რომელიმე საგამონაკლისი პირობის თანახმად, დიაგნოზი, პრემიის გადახდის მიუხედავად, ასეთი შემთხვევა არ დაექვემდებარება სადაზღვევო ანაზღაურებას.

8. შეტყობინებები და კომუნიკაცია

8.1.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული მიზნებისთვის, საკომუნიკაციო საშუალებად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სადაზღვევო პოლისში მითითებული მისამართი ან/და მობილური ტელეფონის ნომერი, რაც გულისხმობს იმას, რომ მზღვეველის მიერ ამ მისამართზე გაგზავნილი წერილი ან მობილურ ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინება (მათ შორის მოკლე ტექსტური შეტყობინება) ჩაითვლება მზღვეველის მიერ გაკეთებულ ოფიციალურ წერილობით შეტყობინებად; შეტყობინების ტელეფონის ნომერზე

გაგზავნის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ შეტყობინების გაგზავნის დღე ჩაითვლება ადრესატისათვის შეტყობინების ჩაბარების დღედ.

8.1.2. მზღვეველის მხრიდან დამზღვევისათვის/დაზღვეულისათვის შეტყობინების გაგზავნა მოხდება სადაზღვევო პოლისში მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე ან მისამართის შეცვლის თაობაზე, ამ პირობებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, მზღვეველისათვის გაცხადებულ ბოლო მისამართზე. ასეთ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება/კორესპონდენცია ჩაითვლება დამზღვევის/დაზღვეულის მიერ მიღებულად, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ იმყოფებოდეს ან მისამართი არასწორად/არაზუსტად იყოს გაცხადებული მზღვეველისათვის.

9. დავათა გადაწყვეტა

9.1.1. წინამდებარე დაზღვევის პირობებთან დაკავშირებით მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავა განიხილება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს საერთო სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

10. კონფიდენციალობა

10.1.1. მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის ნებისმიერი ფორმით (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება მისი მესამე პირისათვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.1.2. მზღვეველი უფლებამოსილია, განხორციელებული დაზღვევის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემები დაამუშაოს: ა) სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით, ბ) დამზღვევის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მზღვეველის ინტერესების დაცვის მიზნით და გ) ზარალის დარეგულირების მიზნებისათვის, მათ შორის ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, გამოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

10.1.3. მზღვეველი ასევე უფლებამოსილია, მისთვის მიწოდებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშაოს, ასევე, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის - ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურების შესათავაზებლად. მონაცემთა სუბიექტს, უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მზღვეველს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი - მზღვეველისათვის წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიმართვის გზით.